ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4464026

ნომერი: AR1674292

თარიღი : 10.04.2019

გაცემის თარიღი : 17.04.2019

გაცნობის თარიღი : 17.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფეიქრების ქუჩა N12/ ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მზია როსტომაული პ/ნ 01001002432
- თბილისი გლდანი I მ/რ კორ. 2 ბ. 66

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _

-სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. გაითვალისწინეთ თუ სამსახურს მომართავს საპროექტო ფართის მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა, დამოწმებული სათანადო წესით განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

ასევე გაითვალისწინეთ, რეესტრში რეგისტრირებულ სარგებლობას ვადა აქვს გასული და საჭიროების შემთხვევაში თუ აღნიშნული მოიჯარეა დაინტერესებული საპროექტო სამუშაოებით საჭიროა წარმოადგინოთ ვადაში მყოფი სარგებლობის ხელშეკრულება. საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული.

-თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-7ე მუხლის თანახმად : სამშენებლოდ შეზღუდულ მიწის ნაკვეთებს წარმოადგენს:

ა) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ);
ბ) სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ);
გ) სარეკრეაციო ზონა (რზ);
დ) სპეციალური ზონა (სპეცზ);
ე) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);
ვ) სანიტარიული ზონა (სანზ);
ზ) სამხედრო დანიშნულების ზონა 2 (სდზ).

ხოლო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის მე_3 პუნქტის თანახმად: სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთის (გარდა, ლსზ-სა და რზ1-სა) შემოღობვა შესაძლებელია არაუმეტეს 1,8 მეტრი სიმაღლის არაყრუ ღობით;

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ვინაიდან წარმოდგენილი განთავსებით ღობის განთავსება ხდება სარეკრეაციო ზონაში, (იხ.დანართი), საჭიროა წარმოადიგნოთ განახლებული ფოტომონტაჟი, დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.

-არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : დამატებით წარმოდგენილ იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, გადაღებული სხვადასხვა ხედებით, თარიღის მითითებით.

-ასევე, გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი ყვება მდ.მტკვრის ბუფერულ ზონაში, საშიში გეოდინამიკური პროცესების წყალდაცვით ზონებში, შესაბამისად წარმოსადგენია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი პოზიცია/თანხმობა წინამდებარე განაცხადით შესათანხმებელ განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.